**დამტკიცებულია ,,საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთადა აუდიტორთა ფედერაციის“ განათლების კომიტეტის სხდომაზე ოქმი N145 10.10.2018 წელი (ცვლილებები შეტანილია 28.12.2023 წ.)**

# სერტიფიცირების კანდიდატთა ჩათვლებისა და აღიარების საკითხების განმხილველი კომისიის სახელმძღვანელო პრინციპები

,,სერტიფიცირების კანდიდატთა განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების განმხილველი კომისიისთვის“ დადგენილია შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები, რომელზე დაყრდნობითაც უნდა განახორციელოს **,,ჩათვლა“** და/ან **,,აღიარება“.**

## 1. ჩათვლებთან დაკავშირებით ,,კომისიის“ გადაწყვეტილებების საფუძველი:

1. **უმაღლესი სასწავლებელში - კურსდამთავრებულებისათვის** - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ბუღალტერთა სერტიფიცირების კანდიდატებისათვის ცალკეული სასერტიფიკაციო საგნების ჩათვლა განიხილება სასერტიფიკაციო პროგრამების შესაბამისად;

2. **ბუღალტერთა სერტიფიცირების პროგრამაში** მონაწილეობის მსურველი სერტიფიცირების კანდიდატებს, რომელთაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით – ბუღალტრული აღრიცხვა, მენეჯმენტი, ფინანსები და სოციალური მიმართულებით ეკონომიკის დარგში - **ჩათვლა** განიხილება: F-1, F-2, F-3, F-5, F-7, F-8, F-9, P4 მოდულებში/წიგნებში;

| N | მოდულის სრული დასახელება | შემოკლებული |
|---|---|---|
| F1 | ბიზნესი და ტექნოლოგია | ბტ |
| F2 | მმართველობითი აღრიცხვა | მა |
| F3 | ფინანსური აღრიცხვა | ფა |
| F5 | საქმიანობის შედეგების მართვა | სშმ |
| F7 | ფინანსური ანგარიშგება | ფან |
| F8 | აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება | ამმ |
| F9 | ფინანსური მართვა | ფმ |
| P4 | უმაღლესი ფინანსური მართვა | უფმ |

3. **ბუღალტერთა სრული სერტიფიცირების (ACCA-ის ადაპტირებული) პროგრამაში** მონაწილეობის მსურველი სერტიფიცირების კანდიდატებს, რომელთაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებებით – ბუღალტრული აღრიცხვა, მენეჯმენტი, ფინანსები და სოციალური მიმართულებით ეკონომიკის დარგში - ჩათვლა განიხილება F-1, F-2, F-3 წიგნებში:

| N | მოდულის სრული დასახელება | შემოკლებული |
|---|---|---|
| F1 | ბიზნესი და ტექნოლოგია | ბტ |
| F2 | მმართველობითი აღრიცხვა | მა |
| F3 | ფინანსური აღრიცხვა | ფა |

ა. ჩათვლები გაიცემა - დიპლომის დანართში მოცემული უმაღლესი სასწავლებელში ჩათვლილი/ჩაბარებული სასწავლო კურსის/საგნის შესაბამისობის განხილვის საფუძველზე;

ბ. უმაღლესი სასწავლებელში ჩათვლილი/ჩაბარებული სასწავლო კურსის/საგნის შესაბამისობას განიხილავს სპეციალურად, ამ მიზნით, შექმნილი კომისია;

გ.პროგრამაში ერთი მოდულის (წიგნის) ჩათვლის მოსაკრებელი განისაზღვრება 210 ლარით (დღგ-ს ჩათვლით);

დ. ბუღალტერთა სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილე კანდიდატი, ბუღალტერთა სრული სერტიფიცირების (ACCA-ის ადაპტირებული) პროგრამაში კანდიდატად დარეგისტრირების შემთხვევაში, საგამოცდო მოდულებში ჩათვლებს მიიღებს 3-ა პუნქტის შესაბამისად.

**2. სერტიფიცირებულ პირად აღიარების გადაწყვეტილების საფუძველი:**

2.1. **ACCA-ის ინგლისურენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის - „ბაფ“-ის „პროფესიული სერტიფიცირების დებულების“** მუხლი 12-ის მე-3 პუნქტით - ,,ACCA -ის ინგლისურენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულებს სერტიფიცირებულ პირად აღიარებისათვის მოეთხოვებათ სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება საქართველოს კანონმდებლობით საგადასახადო დაბეგვრასა და ბიზნესსამართალში;

**2.2. სხვა პროფესიული ორგანიზაციის ან პროფესიის მარეგულირებელი ორგანოს მიერ სერტიფიცირებული პირისათვის -** სხვა პროფესიული ორგანიზაციის (რეზიდენტი და არარეზიდენტი) ან პროფესიის მარეგულირებელი ორგანოს მიერ სერტიფიცირებული პირისათვის ბაფის პროფესიონალი ბუღალტრის სერტიფიკატის გაცემა, თუ სერტიფიკატის გამცემი ორგანო არის ბსფ **(IFAC)** წევრი და მის მიერ პირი სერტიფიცირებულია ამ დებულებით განსაზღვრულის ეკვივალენტური წინასაკვალიფიკაციო პროგრამით.“

**2.3. სხვა ქვეყნის („ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილ წევრს ან ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციების წევრი ფიზიკური პირები,) სერტიფიცირებული პირისთვის -** ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება დამტკიცებული ,,პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი“-ს მუხლი 5-ის მე-7-ე პუნქტით: ,,ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილ წევრს ან ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციების წევრი ფიზიკური პირები, რომლებსაც აუდიტის საქართველოში ჩატარება სურთ უფლებამოსილნი არიან, საქართველოს სამართლის საკვალიფიკაციო ტესტის ჩაბარების მოთხოვნით, მიმართონ პროფესიულ ორგანიზაციას.”